ვერსია: 2013 წლის ივნისი

ჰაიდელბერგცემენტის მომწოდებელთა ქცევის კოდექსი

ზოგადად, ჩვენი ბიზნეს აქტივობები ექვემდებარება შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობას და რეგულაციებს, რომლებიც მოქმედებს გარემოს დაცვის, პროდუქციის უსაფრთოების და სოციალური დაცვის სფეროში. გარდა ამისა, ჰაიდელბერგცემენტის პოლიტიკას წარმოადგენს იმის ოფიციალური მოთხოვნა, რომ ყველა მომწოდებელმა დაიცვას მომწედებელთა ქცევის კოდექსი, რომელიც ჩვენ შევიმუშავეთ და მუშაობის ის პრაქტიკა, რომელიც მას შეესაბამება.

მომწოდებელთა ქცევის კოდექსი, რომელიც შემუშავდა ჰაიდელბერცემენტის "ბიზნეს საქმიანობის კოდექსის" საფუძველზე, მოითხოვს შესაბამისობას სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო სტანდარტთან SA 8000 და გარემოსდაცვით სტანდარტთან ISO 14001, და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პრინციპებთან, ჩვენს მომწოდებელთა ქსელში.

მომწოდებელთა ქცევის ეს კოდექსი, რომელიც გლობალურ მასშტაბში გამოიყენება ჩვენს მიერ, გამოიყენება, როგორც ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველი. ჰაიდელბერგცემენტი აფასებს მჭიდრო და პროდუქტიულ თანამშრომლობას მის მომწოდებლებთან. ამასთან ერთად, თუ ყველა მცდელობა, აღმოიხვრას მომწოდებელთა ქცევის არსებითი ხარვეზები, უშედეგოდ დასრულდება, იქნება ეს მომწოდებლის მხრიდან სურვილის არქონის ან იმის გამო, რომ მოქმედებათა გეგმა ვერ შესრულდა შეთანხმებულ ვადებში, საბოლოო ჯამში ეს გამოიწვევს სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტას.

მომწოდებელთა ქცევის კოდექსი

ჰაიდელბერგცემენტის მომწოდებელთა ქცევის კოდექსი მოითხოვს ჰაიდელბერგცემენტის მომწოდებელთა ბაზისგან შემდეგს:

სამუშაო პირობები / მუშახელი

1. მომწოდებელმა არ უნდა გამოიყენოს ბავშვთა შრომა წარმოების არც ერთ ეტაპზე. მომწოდებლებს მოეთხოვებათ, შეასრულონ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) რეკომენდაცია დასაქმების მინიმალური ასაკის შესახებ.
2. ანაზღაურება და ბენეფიტები უნდა შეესაბამებოდეს ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც უკავშირდება მინიმალურ ხელფასს, ზეგანაკვეთურ მუშაობას და ოფიციალურად მინიჭებულ შეღავათებს.
3. იძულებით შრომის ნებისმიერი ფორმა დაუშვებელია და თანამშრომლებს უნდა შეეძლოთ თავისუფლად დაანებონ თავი მუშაობას, გონივრულობის ფარგლებში გაგზავნილი შეტყობინების შემდეგ.
4. მომწოდებლებს მოეთხოვებათ დაიცვან დასაქმებულთა უფლებები გაერთიანებების თავისუფლად შექმნის შესახებ და აღიარონ დასაქმებულთა უფლებები, კოლექტიურად მოითხოვონ შრომის პირობები, სადაც ეს დასაშვებია კანონმდებლობით.
5. თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები შრომისთვის, რომლებიც აკმაყოფილებს ან აღემატება შესაბამის სტანდარტებს პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების შესახებ.

გარემოსდაცვითი სტანდარტები

1. მომწოდებლის ოპერაციები უნდა განხორციელდეს გარემოზე ზრუნვის გათვალისწინებით და შეესაბამებოდეს შესაბამისი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას.
2. ყველა მოწოდებული პროდუქტი და მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს ეკოლოგიურ, ხარისხის და უსაფრთხოების კრიტერიუმებს, რომლებიც მოცემულია შესაბამის ხელშეკრულებებში და უნდა იყოს უსაფრთო დაგეგმილი გამოყენებისთვის.

ბიზნეს ეთიკა

1. ბიზნესის წარმოება უნდა ხდებოდეს კეთილსინდისიერად. დაუშვებელია რაიმე გადახდის, მომსახურების, საჩუქრის ან სხვა სარგებლის შეთავაზება ან მიცემა ჰაიდელბერგცემენტის თანამშრომლის ან მესამე მხარისთვის, რომლებიც განზრახულია იმისთვის, რომ ზემოქმედება მოახდინოს მათ მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებაზე. ამის მსგავსად, ჰაიდელბერგცემენტი არ სთავაზობს და არ გასცემს ამგვარ გადახდებს, მომსახურებას, საჩუქრებს, დასვენებას ან სხვა სარგებელს რომელიმე მომწოდებელზე, რომლებიც განზრახულია იმისთვის, რომ ზემოქმედება მოახდინოს მათ მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებაზე.
2. დაცული უნდა იყოს ადამიანის უფლებები, დაუშვებელია დასაქმებულთა შევიწროება ან დისკრიმინაცია რაიმე ფორმით. ეს მოიცავს, მათ შორის, გენდერს, ეთნიკურ წარმოშობას, კანის ფერს, რელიგიას, სექსუალურ ორიენტაციას, შეზღუდულ შესაძლებლობებს ან ასაკს.

დასკვნითი დებულებები

1. ჰაიდელბერგცემენტის პირდაპირ მომწოდებლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმაზე, რომ მოსთხოვონ მათ პირდაპირ მიმწოდებლებს ქცევის ამ კოდექსის პრინციპების დაცვა, და სათანადო ყურადღებით შეამოწმონ, რომ ეს პრინციპები დაცულია მათ მიწოდების ქსელში.
2. ამ სტანდარტების უზრუნველყოფა გრძელვადიანი სწავლის და განვითარების პროცესია. ჩვენ ვიმუშავებთ ჩვენს მომწოდებლებთან, რომ მივაღწიოთ შესაბამისობას და მუდმივად განვაახლოთ და გადავხედოთ ამ პრინციპებს, თუ საჭირო გახდა.
3. მომწოდებლებს შეუძლიათ წარმოადგინონ ნებისმიერი მოსაზრება, რომელიც ეხება შეუსაბამო ქცევას, იქნება ეს მოქმედი კანონმდებლობის თუ ჰაიდელბერგცემენტის შიდა რეგულაციების მიმართ, ჩვენი ცხელი ხაზის საშუალებით "ჩემი უსაფრთხო სამუშაო ადგილი" (www.mysafeworkplace.com).

დოქტორი დომინიკ ფონ ახტენი
დირექტორთა საბჭოს წევრი
dominik.vonachten@heidelbergcement.com

დოქტორი ინეს პლოსი
CPO, ჯგუფის შესყიდვების დირექტორი
ines.ploss@heidelbergcement.com

Vorsitzender des Aufsichtsrats
Fritz-Jürgen Heckmann
Vorstand

Dr. Bernd Scheifele (Vorsitzender),
Dr. Dominik von Achten (stellv. Vorsitzender), Daniel Gauthier,
Andreas Kern, Dr. Lorenz Näger, Dr. Albert Scheuer,
HeidelbergCement AG
Berliner Straße 6, 69120 Heidelberg
Sitz der Gesellschaft: Heidelberg
Eingetragen beim Registergericht Mannheim
HRB Nr.: 330082